კავშირი თვითეფექტურობას, კონტროლის ლოკუსსა და სტრესის დონეს შორის აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან მომუშავე მასწავლებლებში

ნანა ცერცვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ნანა ცერცვაძე, 2023

მადლობა

პირველ რიგში, დიდ მადლობას ვუხდი ჩემი ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ დარეჯან კახიანს, გაწეული დროის, ენერგიისა და რესურსების გამო, რომელიც მან ჩემთან მუშაობის პროცესში გამოიყენა. მადლობა მას გამოჩენილი მხარდაჭერისთვის, დახმარებისთვის, უკუკავშირისა და კვლევის პროცესში ჩართულობისთვის.

ასევე, ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ქალბატონ ნინო სხირტლაძეს, „სამაგისტრო სემინარი“-ს ფარგლებში გაწეული დახმარებისა და ამომწურავი უკუკავშირისთვის.

აბსტრაქტი

ბოლო დროს საგრძნობლად იმატა განვითარების სხვადასხვა ტიპის დარღვევამ. მათ შორის, ერთ-ერთ ყველაზე ხშირად დასმულ დიაგნოზად შეგვიძლია მივიჩნიოთ აუტისტური სპექტრის აშლილობა. ისევე, როგორც ყველა ინდივიდს, აუტიზმის მქონე ბავშვებს აქვთ სრულიად ლეგიტიმური უფლება, მიიღონ განათლება კერძო თუ საჯარო სკოლებში. მნიშვლოვანია, როგორც ბავშვების, ასევე პედაგოგების კეთილდღეობაზე ზრუნვა, შესაბამისად, სასურველია, მასწავლებლებს შეეძლოთ აუტიზმის მქონე მოსწავლის ქცევის მართვა და მათი კლასში ინტეგრირება ისე, რომ არ იყოს სტრესული სირთულეებთან გამკლავება. სწორედ ამიტომ, წინამდებარე კვლევის მიზანია, იკვლიოს კავშირი თვითეფექტურობას, კონტროლის ლოკუსსა და სტრესის დონეს შორის აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან მომუშავე მასწავლებლებში.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის კერძო და საჯარო სკოლების მასწავლებლებმა, რომელთაც კლასში ერთი ან მეტი აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლე ჰყავთ. მათი საერთო რაოდენობა შეადგენს 97-ს, აქედან 80% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 20% - მამრობითი სქესის წარმომადგენელი. ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, კორელაციური და რეგრესიული ანალიზის გამოყენებით მოხდა მონაცემთა დამუშავება.

შედეგებმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია თვითეფექტურობასა და სტრესის დონეს შორის. შინაგანი კონტროლის ლოკუსის კავშირი თვითეფექტურობასა და სტრესის დონესთან არ გამოიკვეთა. თვითეფექტურობა უარყოფითად წინასწარმეტყველებს სტრესის დონეს, რასაც შინაგანი კონტროლის ლოკუსზე ვერ ვიტყვით.

კვლევის მიზანია, დაადგინოს, რამდენად სტრესულად აღიქვამენ მასწავლებლები საკლასო გარემოში აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლის ყოფნას და რა იქნება სტრესის შემცირების ხელშემწყობი ფაქტორები.

საკვანძო სიტყვები: თვითეფექტურობა, კონტროლის ლოკუსი, აღქმული სტრესი, აუტიზმი, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან მომუშავე მასწავლებელი.

Abstract

Recently, there has been a significant increase in the number of different types of developmental disorders. Among them, we can consider Autistic Spectrum Disorder as one of the most frequently made diagnoses. Like all individuals, children with ASD have a perfectly legitimate right to be educated in private or public schools. It is important to care for the well-being of both, children and teachers, so it is desirable that teachers are able to manage the behavior of students with ASD and integrate them into the classroom in a way that is not stressful to deal with. Therefore, the purpose of the present study is to investigate the relationship between self-efficacy, locus of control and stress levels in teachers working with children with Autism Spectrum Disorders.

Teachers of private and public schools in Tbilisi, who have one or more students with Autistic Spectrum Disorder in their class, took part in the research. Their total number is 97, of which 80% are female and 20% are male. Quantitative research was conducted, data were processed using Correlation analysis and Regression analysis.

The results showed a statistically significant negative correlation between self-efficacy and stress levels. The relationship of internal locus of control between self-efficacy and stress level was not revealed. Self-efficacy negatively predicts stress level, which is not the case for internal locus of control.

The purpose of the study is to determine, how stressful teachers perceive the presence of a student with Autism Spectrum Disorder in the classroom environment and what the factors contributing to the reduction of stress will be.

Key words: Self-efficacy, Locus of Control, Perceived Stress, Autism Spectrum Disorder, Teaching child with ASD.